



უშიშროების საბჭო

გავრცელება: ზოგადი
2009 წლის 5 ოქტომბერი

არაოფიციალური თარგმანი

რეზოლუცია № 1889 (2009)

მიღებულია უშიშროების საბჭოს მიერ 6196-ე სხდომაზე
2009 წლის 5 ოქტომბერს

უშიშროების საბჭო,

კიდევ ერთხელ ადასტურებს ვალდებულებას, რომ ურთიერთთანამშრომლობის პირობებში გააგრძელებს და სრულად განახორციელებს რეზოლუციებს 1325 (2000), 1612 (2005), 1674 (2006), 1820 (2008), 1882 (2009), 1888 (2009) და უშიშროების საბჭოს პრეზიდენტის ყველა შესაბამის განცხადებას,

ხელმძღვანელობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებითა და მიზნებით,

დაკისრებული აქვს უშიშროების საბჭოს წესდებით განსაზღვრული უპირატესი მოვალეობა, რომ დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება,

კიდევ ერთხელ შეგვახსენებს გადაწყვეტილებას, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის 2005 წლის მსოფლიო სამიტის დასკვნით დოკუმენტში (A/RES/60/1) აისახა და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრას ეხება; შეგვახსენებს ქალთა მიმართ ყველა ფორმის ძალადობის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის, მისი ფაკულტატიური ოქმის, ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციისა და მისი ფაკულტატიური ოქმის მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებებს და, ასევე, იმ ვალდებულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია პეკინის დეკლარაციითა და სამოქმედო პლატფორმით, გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო 23-ე მოწვევის დასკვნითი დოკუმენტით – `ქალები 2000: გენდერული თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა ოცდამეერთე საუკუნეში (A/S-23/10/Rev.1), განსაკუთრებით კი იმ ნაწილით, რომელიც ქალებსა და შეიარაღებულ კონფლიქტს ეხება,

ითვალისწინებს გენერალური მდივნის 2009 წლის 16 სექტემბრის ანგარიშს (S/2009/465) და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წინამდებარე რეზოლუცია არ გულისხმობს

სამართლებრივი დასკვნების გაკეთებას გენერალური მდივნის ანგარიშში წარმოდგენილი სიტუაციების შესახებ: თუ რამდენადაა შესაძლებელი მათი მიჩნევა შეიარაღებულ კონფლიქტებად ჟენევის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების მიხედვით; რეზოლუცია ასევე არ გულისხმობს აღნიშნულ სიტუაციებში ჩართული არაწევრი სახელმწიფოების სამართლებრივი სტატუსის დადგენას,

მიესალმება წევრ სახელმწიფოთა ძალისხმევას 1325 (2000) რეზოლუციის ეროვნულ დონეზე განხორციელებასთან დაკავშირებით, მათ შორის ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებას და მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, გააგრძელონ მათი განხორციელება,

კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სამშვიდობო პროცესის ყველა ეტაპზე ქალთა სრული, თანასწორუფლებიანი და ეფექტიანი მონაწილეობის აუცილებლობას, რადგან ქალები გადაწყვეტ როლს თამაშობენ კონფლიქტების პრევენციის, მოგვარებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში; კიდევ ერთხელ ადასტურებს ქალთა როლის მნიშვნელობას საზოგადოებრივი წეს-წყობილების აღდგენის პროცესში და ხაზს უსვამს მათი მონაწილეობის აუცილებლობას კონფლიქტის შემდგომი სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში, რათა გათვალისწინებული იყოს მათი თვალსაზრისი და საჭიროებები,

გამოხატავს უკიდურეს შემფოთებას სამშვიდობო პროცესის ყველა ეტაპზე ქალთა წარმომადგენლობის სიმცირის, განსაკუთრებით მედიაციის პროცესში ოფიციალური სტატუსით მონაწილე ქალთა მცირე რაოდენობის გამო და ხაზგასმით მიუთითებს გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალების, როგორც ხელმძღვანელი მედიატორების, სათანადო რაოდენობით დანიშვნისა და მედიატორთა ჯგუფების შემადგენლობაში ქალთა მონაწილეობის აუცილებლობაზე,

კვლავ უკიდურესად შემფოთებულთა კონფლიქტების პრევენცია-მოგვარებასა და კონფლიქტის შემდგომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული მონაწილეობის ხელშემშლელი გარემოებების არსებობის გამო, იგულისხმება ძალადობა და დაშინება, უსაფრთხოებისა და კანონის უზენაესობის ნაკლებობა, კულტურული დისკრიმინაცია და სტიგმა; ასევე, ქალების შესახებ ექსტრემისტული ან ფანატიკური თვალსაზრისის ჩამოყალიბება, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, მაგალითად: ნაკლებად ხელმისაწვდომი განათლება; ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საბჭო აღიარებს, რომ ქალთა მარგინალიზაცია აყვავებს ან აბრკოლებს სტაბილური მშვიდობის, უსაფრთხოებისა და შერიგების მიღწევას,

აღიარებს ქალებისა და გოგოების განსაკუთრებულ საჭიროებებს კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში. იგულისხმება: ფიზიკური უსაფრთხოება, სამედიცინო მომსახურება - რეპროდუქციული და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს ჩათვლით,

საარსებო წყაროზე, მიწასა და საკუთრებაზე უფლებების უზრუნველყოფა, დასაქმება და მათი მონაწილეობა კონფლიქტის შემდგომ გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის პროცესებში, განსაკუთრებით კონფლიქტის შემდგომი სამშვიდობო პროცესების ადრეულ ეტაპზე,

აღნიშნავს, რომ გარკვეული პროგრესის მიუხედავად, კონფლიქტის პრევენცია-მოგვარებასა და მშვიდობის განმტკიცების სფეროში ქალთა მონაწილეობის ხელშემშლელი გარემოებები კვლავ არსებობს. გამოხატავს შეშფოთებას, რომ კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში ქალთა შესაძლებლობები საზოგადოებრივი გადაწყვეტილების მიღებისა და ეკონომიკური რეკონსტრუქციის პროცესში სათანადოდ არ ფასდება/ფინანსდება და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადდგენის პროცესის ადრეულ ეტაპზე ქალთა საჭიროებების დაფინანსება გადამწყვეტია ქალთა უფლებამოსილებების გაზრდისთვის, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კონფლიქტის შემდგომ მშვიდობის დამყარებას,

აღნიშნავს, რომ შეიარაღებულ კონფლიქტსა და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში ქალები ხშირად აღიქმებიან მსხვერპლებად და არა შეიარაღებული კონფლიქტით გამოწვეული პრობლემების გადაჭრაში აქტიურად ჩართულ პირებად; ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუცილებელია ყურადღების გამახვილება არა მარტო ქალთა დაცვაზე, არამედ მშვიდობის დამყარების პროცესში ქალთა როლის გაძლიერებაზე.

აღიარებს, რომ ქალებსა და გოგოებზე, მათ შორის ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებზე, შეიარაღებული კონფლიქტის გავლენის გააზრება, მათ განსაკუთრებულ საჭიროებებზე სათანადოდ, სწრაფი რეაგირება და ეფექტიანი ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ დაცვასა და სამშვიდობო პროცესში სრულ მონაწილეობას, განსაკუთრებით კონფლიქტის შემდგომ, მშვიდობის გამტკიცების ადრეულ ეტაპზე, მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვასა თუ ხელშეწყობას,

მიესალმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივას, შეიმუშაოს გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ჩამოყალიბებული სისტემის მსგავსი სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს გადაწყვეტილების მიმღებ მხარეებს, აწარმოონ გენდერულ საკითხებზე გაეროს განვითარების ჯგუფის დონორთა მიზნობრივი ფონდების დანახარჯების აღრიცხვა,

მიესალმება გენერალური მდივნის ძალისხმევას, უფრო მეტი ქალი დაინიშნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელ პოზიციებზე, განსაკუთრებით ქვეყნებში არსებულ წარმომადგენლობებში, რაც წინ გადადგმული მნიშვნელოვანი

ნაბიჯია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1325 (2000) რეზოლუციის განხორციელებაში,

მიესალმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეთვალყურეო კომიტეტის ჩამოყალიბებას, რაც უფრო კარგად წარმოაჩენს და ხელს შეუწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში 1325 (2000) რეზოლუციის ათი წლისთავის მომზადების პროცესის კოორდინირებას,

წახალისებს შესაბამის მონაწილეებს, რომ უზრუნველყონ 2009-2010 წლებში დონისძიებების გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე ორგანიზება, რაც ხელს შეუწყობს 1325 (2000) რეზოლუციის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლებას, განსაკუთრებით სამინისტროების დონეებზე; უზრუნველყონ, ასევე, 1325 რეზოლუციით გათვალისწინებული ვალდებულების განახლება და სამომავლოდ მისი განხორციელების დამაბრკოლებელი არსებული თუ ახალი პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა,

1. *კატეგორიულად მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებს, მიიღონ შემდგომი ზომები სამშვიდობო პროცესის ყველა ეტაპზე ქალთა მონაწილეობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით კონფლიქტის მოგვარების, კონფლიქტის შემდგომი დაგეგმვისა და მშვიდობის განმტკიცების პროცესებში, რაც მიიღწევა ადდგენის პროცესის ადრეულ საფეხურებზე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მათი ჩართულობით, ჰუმანიტარული დახმარების მართვასა და დაგეგმვაში ქალთა ლიდერობის ხელშეწყობითა და შესაძლებლობების გაზრდით, ქალთა ორგანიზაციების მხარდაჭერით, ქალთა შესაძლებლობებისა და თანაბარი მონაწილეობის თაობაზე საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების გაბათილებით;

2. *კიდევ ერთხელ მოუწოდებს* შეიარაღებული კონფლიქტების ყველა მხარეს, სრულად დაიცვან საერთაშორისო სამართლის ის ნორმები, რომლებიც ქალებისა და გოგოების უფლებებსა და დაცვას ეხება;

3. *კატეგორიულად გმობს* შეიარაღებული კონფლიქტებისა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ქალებისა და გოგოების წინააღმდეგ საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევით ჩადენილ ყველა დანაშაულს; კონფლიქტების ყველა მხარისგან მოითხოვს მსგავსი ფაქტების დაუყოვნებლივ შეწყვეტას და ხაზგასმით მიუთითებს სახელმწიფოების ვალდებულებაზე, ბოლო მოუღონ განუკითხაობას და დასაჯონ შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალებისა და გოგოების წინააღმდეგ ჩადენილი ყველა სახის ძალადობაში, მათ შორის გაუპატიურებასა და ნებისმიერი სახის სხვა სექსუალურ ძალადობაში დამნაშავე პირები;

4. *მიმართავს* გენერალურ მდივანს, შემუშავდეს სტრატეგია, მაგალითად, ორგანიზაციის წარმომადგენლობებში იმ ქალთა რაოდენობის ტრენინგის გზით გასაზრდელად, რომლებიც მისი სახელით აღნიშნული მიმართულებით იმუშავებენ, მათ შორის ისეთი უფლებამოსილებებით, როგორცაა საგანგებო წარმომადგენლები და საგანგებო ელჩები; მიმართავს გენერალურ მდივანს, მიიღოს ზომები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკურ, მშვიდობის განმტკიცებისა და სამშვიდობო მისიებში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად;

5. *თხოვნიტ მიმართავს* გენერალურ მდივანს, რომ ქვეყნების მიერ უშიშროების საბჭოში წარდგენილ ანგარიშებში შევიდეს ინფორმაცია ქალებისა და გოგოების მდგომარეობაზე შეიარაღებული კონფლიქტის გავლენის, კონფლიქტის შემდგომ მათი განსაკუთრებული საჭიროებებისა და ამ საჭიროებების დაკმაყოფილების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ;

6. *თხოვნიტ მიმართავს* გენერალურ მდივანს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურებში, წევრ სახელმწიფოთა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფილი იყოს კონფლიქტის შემდგომ ქალებისა და გოგოების მდგომარეობის შესახებ მონაცემების შეგროვება-ანალიზი და საჭიროებათა რეგულარული შეფასება, აგრეთვე, ინფორმაციის მოპოვება ფიზიკური უსაფრთხოების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და კონფლიქტის შემდგომი პერიოდის დაგეგმვის პროცესში მათი საჭიროებების შესახებ, ამ საჭიროებათა მთელი სისტემის მასშტაბით დასაკმაყოფილებლად;

7. *გამოხატავს განზრახვას*, შეიქმნას და განახლდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიათა მანდატები, რაც კონფლიქტის შემდგომ ფაზაში გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილებების გაზრდის შესახებ დებულებებს მოიცავს; *თხოვნიტ მიმართავს* გენერალურ მდივანს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიების შემადგენლობაში გარემოებების მიხედვით გააგრძელოს გენდერულ ან/და ქალთა დაცვის საკითხებში მრჩეველთა დანიშვნა და სთხოვს მათ, ქვეყანაში მოქმედ გაეროს სააგენტოთა ჯგუფთან თანამშრომლობით, უზრუნველყონ კონფლიქტის შემდგომ ფაზაში ქალებისა და გოგოების საჭიროებების გადასაჭრელად ტექნიკური დახმარებისა და კოორდინირების ხელშეწყობა;

8. *კატეგორიულად მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ გენდერული საკითხების ჩართვა კონფლიქტის შემდგომ მშვიდობის განმტკიცებისა და რეაბილიტაციის პროცესსა თუ სექტორებში;

9. *კატეგორიულად მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებს, დონორებსა და სამოქალაქო საზოგადოებას,

უზრუნველყონ ქალთა უფლებამოსილების გაზრდის საკითხების გათვალისწინება კონფლიქტის შემდგომ საჭიროებათა შეფასებისა და დაგეგმვის პროცესში, შემდგომი დაფინანსებისა თუ პროგრამული საქმიანობის განხორციელების დროს და კონფლიქტის შემდგომ ფაზაში, ქალთა საჭიროებების დაკმაყოფილებაზე მიმართული საქმიანობისთვის გამოყოფილი ფონდების აღრიცხვისა და ანალიზის გამჭვირვალე სისტემის შემუშავებით;

10. *წახალისებს* პოსტკონფლიქტურ მდგომარეობაში მყოფ წევრ სახელმწიფოებს, სამოქალაქო საზოგადოებასთან და ქალთა ორგანიზაციებთან კონსულტაციის გზით, დეტალურად დაადგინონ ქალებისა და გოგოების საჭიროებები თუ პრიორიტეტები და მათ დასაკმაყოფილებლად ქვეყანათა სამართლებრივი სისტემის შესაბამისად შეიმუშაონ კონკრეტული სტრატეგიები, რაც ასევე გულისხმობს: ფიზიკური უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას განათლებისა და შემოსავლის მიღებაზე ორიენტირებული საქმიანობის ხელშეწყობით, ძირითადი მომსახურების, განსაკუთრებით კი ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობას, რომელიც მოიცავს სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, რეპროდუქციულ უფლებებსა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას; ასევე, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, კანონის უზენაესობისა თუ მართლმსაჯულების უზრუნველყოფას და საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შესაძლებლობების ყველა დონეზე მონაწილეობის მიზნით გაზრდას;

11. *კატეგორიულად მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს, კონფლიქტის შემდგომ ფაზაში ქალებისა და გოგოებისთვის განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ყველა შესაძლო ზომა მიიღონ, გაითვალისწინონ განათლების მნიშვნელობა კონფლიქტის შემდგომ ეტაპზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის კუთხით;

12. *მოუწოდებს* შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარეს, გაითვალისწინონ ლტოლვილთა ბანაკებისა და განსახლების ადგილების სამოქალაქო თუ ჰუმანიტარული ხასიათი და უზრუნველყონ ამ ბანაკებში მაცხოვრებელი ყველა სამოქალაქო პირის, განსაკუთრებით ქალებისა და გოგოების, დაცვა ყველა სახის ძალადობისგან, მათ შორის გაუპატიურებისა თუ სხვა სახის სექსუალური ძალადობისგან და უზრუნველყონ ჰუმანიტარული დახმარების სრული, დაუბრკოლებელი და უსაფრთხო მიწოდება;

13. *მოუწოდებს* ყველას, ვინც ჩართულია განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესების დაგეგმვაში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ

ქალებისა და გოგოების, ასევე, მათი შვილების იმ განსაკუთრებულ საჭიროებებს, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღებულ კონფლიქტებთან და შეიარაღებულ ჯგუფებთან; მოუწოდებს მათ, უზრუნველყონ აღნიშნულ პროგრამებზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა;

14. *მხარს უჭერს* სამშვიდობო კომისიასა და მშვიდობის განმტკიცების საკითხებზე მომუშავე სააგენტოს, სისტემატურად მიაქციონ ყურადღება გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილებების საკითხების წინ წამოწევას და ამ მიზნით მოახდინონ რესურსების მობილიზება, რაც კონფლიქტის შემდგომი მშვიდობის განმტკიცების პროცესის განუყოფელი ნაწილია, წახალისონ ამ პროცესში ქალთა სრული მონაწილეობა;

15. *თხოვნიტ მიმართავს* გენერალურ მდივანს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო მოქმედებების განმტკიცებისთვის, დღის წესრიგში დააყენოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში გადაწყვეტილებათა მიღებისა და სამშვიდობო პროცესების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე ქალთა მონაწილეობის გაუმჯობესება;

16. *თხოვნიტ მიმართავს* გენერალურ მდივანს, უზრუნველყოს 1888 რეზოლუციით (2009) დანიშნული, ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტის საკითხებში გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენლისა და სექსუალური ძალადობისა და შეიარაღებული კონფლიქტის საკითხებში გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენლის საქმიანობათა სრული გამჭვირვალობა, თანამშრომლობა და კოორდინირება;

17. *თხოვნიტ მიმართავს* გენერალურ მდივანს, რომ უშიშროების საბჭოს 6 თვის ვადაში განსახილველად წარუდგინოს 1325 (2000) რეზოლუციის განხორციელების შესახებ გლობალური დონის ინდიკატორები, რაც 2010 წელს და შემდგომაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოსთვის, სხვა საერთაშორისო თუ რეგიონული ორგანიზაციებისა და წევრი სახელმწიფოებისთვის ანგარიშების წარდგენის საერთო საფუძველი გახდება;

18. *თხოვნიტ მიმართავს* გენერალურ მდივანს, S/PRST/2007/40-ით მოთხოვნილ ანგარიშში შევიდეს 1325 (2000) რეზოლუციის განხორციელების შესახებ ანგარიშიც, პროცესის შეფასება, რომლის საფუძველზეც უშიშროების საბჭო იღებს, ანალიზებს და რეაგირებს ინფორმაციაზე, რომელიც 1325 (2000) რეზოლუციას ეხება. ასევე, ამავე ანგარიშში შევიდეს რეკომენდაციები გაერთიანებული ერების სისტემაში წევრ სახელმწიფოებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან კოორდინირების გაუმჯობესების შესახებ და გაერთიანებული ერების მისიებში ქალთა მონაწილეობის მონაცემები;

19. *თხოვნით მიმართავს* გენერალურ მდივანს, უშიშროების საბჭოს 12 თვის ვადაში წარუდგინოს ანგარიში სამშვიდობო და კონფლიქტის შემდგომი პერიოდის დაგეგმვის პროცესებში ქალთა მონაწილეობისა და ჩართულობის საკითხებზე, სამშვიდობო კომისიის მოსაზრებების გათვალისწინებით, რაც სხვა საკითხთა შორის მოიცავს შემდეგს:

ა. კონფლიქტის შემდგომ ფაზაში ქალებისა და გოგოების განსაკუთრებულ საჭიროებათა ანაღზს;

ბ. კონფლიქტის მოგვარებაში, მშვიდობის დამყარებასა და კონფლიქტის შემდგომ ადრეულ ეტაპზე დაგეგმვისას გენდერული საკითხების ინტეგრირების, დაფინანსებისა და სარეაბილიტაციო პროცესებში ქალთა მონაწილეობის დამაბრკოლებელ გარემოებებს;

გ. ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერებას კონფლიქტის შემდგომ ფაზაში ქალებისა და გოგოების საჭიროებების საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვისა და დაფინანსებისთვის;

დ. რეკომენდაციებს საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე კონფლიქტის შემდგომ ფაზაში ქალებისა და გოგოების საჭიროებებზე რეაგირების გასაუმჯობესებლად, მათ შორის ეფექტიანი ფინანსური და ინსტიტუციური სტრუქტურების ჩამოყალიბებისთვის, რაც მშვიდობის განმტკიცების პროცესში ქალთა სრულ და თანასწორუფლებიან მონაწილეობას უზრუნველყოფს;

20. *იღებს გადაწყვეტილებას*, გააგრძელოს მოცემულ საკითხზე აქტიური მუშაობა.